სიუჟეტის ანტითემატური განვითარება მითოსში რომანში და კინოფილმში (გივი მარგველაშვილის *მუცალი,* ჯონათან ნოლანის ტელესერიალი *დასავლეთის სამყარო)*

გიორგი შაქარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნებისფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი შაქარაშვილი

14.06.2023

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს შედარებით ანალიზზე დაყრდნობით შეისწავლოს, თუ როგორ არის რეპრეზენტირებული ავტორის მიერ მინიჭებული სიუჟეტისა და თემის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, როგორც რეალობისადმი პროტესტის აქტი, ქართველი მწერლის, გივი მარგველაშვილის *მუცალსა* და XXI საუკუნის ჯონათან ნოლანისა და ლიზა ჯოის რეჟისორობით გადაღებულ ტელესერიალ *დასავლეთის სამყაროში.*

ჩატარებულმა ლიტერატურათმცოდნეობითმა კვლევამ ცხადყო, რომ მხატვრული ლიტერატურის ორივე ტექსტში მუდმივად განმეორებად ქმედებას წარმოადგენს პერსონაჟების მიერ პირველადი თემისა და სიუჟეტის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. პერსონაჟები გამუდგებით გამოთქვამენ წუხილს და პროტესტს იმ გარემოებებისა (ბედისწერის) და როლის შესახებ, რომელშიც ისინი იმყოფებიან და ცდილობენ დაანგრიონ არსებული სიუჟეტის საზღვრები და შეცვალონ სიუჟეტის თემა.

ასევე დადგინდა, რომ ზემოთ ხსენებული პროცესი იწყება პერსონაჟების მიერ კითხვის დასმით თავიანთი რეალობის ბუნების მიმართ და შემდეგ ცდილობენ წინასწარ მინიჭებული იდენტობის უარყოფას. რასაც, თავის მხრივ, მოჰყვება ავტონომიური ქმედების საფუძელზე ახალი იდენტობის შექმნას.

ასევე დადგინდა, რომ ორივე მხატვრული ტექსტის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ მათ მომხმარებლებს. გივი მარგველაშვილის რომან *მუცალის* პერსონაჟებისთვის მკითხველს, ხოლო ტელესერიალ *დასავლეთის სამყაროს* პერსონაჟებისთვის კი იმ პარკის ვიზიტორებს, რომლის მასპინძლებსაც თვითონ, ტელესერიალის საკვლევი პერსონაჟები წარმოადგენენ.

ჩატარებული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის საფუძველსე აშკარად გამოჩნდა ზემოთ ხსენებული ქმედებების კავშირი მითოლოგიურ არქეტიპთან.

საკვანძო სიტყვები: პერსონაჟი, სიუჟეტი, თემა, არათემატურობა, ანტითემატურობა, ანტიისტორიულობა, დრო, სივრცე, წუხილი, მითოსი, ფოლკლორი.

Abstract

This paper aims to study, based on a comparative analysis, how the action directed against the plot and theme given by the author is represented as an act of protest against reality, in the texsts of the Georgian writer, Givi Margvelashvili, and in the TV series Western World directed by the famous Jonathan Nolan and Lisa Joy of the 21st century.

The conducted literary research revealed that the action directed against the primary theme and plot by the characters is a constantly recurring action in both texts of fiction. The characters constantly complain and protest about the circumstances (fate) and the role they find themselves in and try to break down the existing plot boundaries and change the plot theme.

It was also found that the above process begins with the characters questioning the nature of their reality and then attempting to reject their pre-assigned identity. Which, in turn, leads to the creation of a new identity based on autonomous action.

It has also been found that in the case of both fiction texts, their users are of crucial importance. For the characters of Givi Margvelashvili's novel Mutsali, the readers, and for the characters of the TV series Western World, the visitors of the park, whose hosts are the research characters of the TV series.

Key words: character, plot, theme, non-thematic, anti-thematic, anti-historicity, time, space, anxiety, myth, folklore.